

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

### სხდომის

### ოქმი # 11

ქ. ონი

26. 11. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ჩლაიძე, გივი მეტრეველი, გელა მეტრეველი, გოჩა მეტრეველი, ვანო ბაღაშვილი, ვასილ მეტრეველი.

**არ ესწრებოდნენ:** სონია გუგეშაშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილიმერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი იმედა გობეჯიშვილი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ირინა გობეჯიშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. იმედა გობეჯიშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

4. სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე  
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი  
დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს: 1.** ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. იმედა გობეჯიშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე  
მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს: 2.** „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანილია ხუთი პაზ-ის ტიპის ავტობუსი, ორი მიკროავტობუსი, ორი ძარიანი ავტომობილი და ექვსი მუხლუხა ბულდოზერი, რომელთა ნაწილი ჩამოწერილია და გამოსადეგია მეორად ლითონად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე  
მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**მოისმინეს: 3.** ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ირინა გიბეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ დანართი #2-ის შესაბამისად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**მოისმინეს: 4.** სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

ვ. ბაღაშვილმა სხდომას გააცნო სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე